ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1931 წ. დეკემბრის 20. № 23 ნაწილი პირველი

შინაარსი

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა

240. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელობის გარდამავალი წითელი დროშის დაარსების შესახებ იმ საწარმოს დასაჯილდოებლად, რომელმაც საუკეთესოდ შეასრულა ექვსი დირექტივა ამხ. სტალინისა, და საქართველოს სსრ შრომის წითელი დროშის ორდენით იმ დამკვრელ მუშათა და საინჟენერო-სატეხნიკო დარგში მომუშავეთა დაჯილდოების შესახებ, რომელთაც განსაკუთრებით თავი იჩინეს შრომის ფრონტზე.

241. საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ-ის მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარი სამმართველოს შესახებ.

სამოქალაქო სამართალი

242. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 428 მუხლის 1-ლი შენიშვნისა, 430 მუხლის და მისი 1-ლი შენიშვნისა და 431 და 434 მუხლების შეცვლის შესახებ.

სანადირო და სათევზე მეურნეობა

243. საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის თევზსამეურნეო და ჰიდრო-ბიოლოგიური სამეცნიერო სადგურის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის თევზსამეურნეო და ჰიდრო-ბიოლოგიური სამეცნიერო სადგურის შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება

244. თუთუბოს და თრიმლის თავისუფალი ვაჭრობის აკრძალვის შესახებ.

ტრანსპორტი

245. საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ.

246. საქართველოს სსრ ადგილობრივი საგზაო ორგანოების დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ ადგილობრივი საგზაო ორგანოების შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

247. „დამატებითი საცხოვრებელი ფართობის უფლების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

248. სამსახურისათვის ქალ. ახალციხეში გადაყვანილი სარაიონო დაწესებულებათა მომუშავეებისა და მუშათა და გლეხთა წითელი არმიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმდგომთა შედგენილობის საბინაო საჭიროებათა უზრუნველსაყოფი ღონისძიებების შესახებ.

სოციალურ-კულტურული წყობილება

249. კოჯრისა, კიკეთისა, წყნეთისა და მანგლისის კურორტების სამთო-სასანიტარო ზონის დაწესების შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

250. საქართველოს სახელმწიფო ნოტარიატის დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ.

251. საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 46 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ლიტერის შეცვლის შესახებ.

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა

240. დადგენილება ც. ა. კ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელობის გარდამავალი წითელი დროშის დაარსების შესახებ იმ საწარმოს დასაჯილდოებლად, რომელმაც საუკეთესოდ შეასრულა ექვსი დირექტივა ამხ. სტალინისა, და საქართველოს სსრ შრომის წითელი დროშის ორდენით იმ დამკვრელ მუშათა და საინჟენერო-სატეხნიკო დარგში მომუშავეთა დაჯილდოების შესახებ, რომელთაც განსაკუთრებით თავი იჩინეს შრომის ფრონტზე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

I

1. იმ საწარმოთა დასაჯილდოებლად, რომელთაც სავსებით შეასრულეს (რაოდენობითი და თვისებითი მაჩვენებლების მიხედვით) ექვსი დირექტივა ამხ. სტალინისა, დაარსებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელობის გარდამავალი წითელი დროშა.

2. გარდამავალ წითელ დროშას მიანიჭებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი თვითეული კვარტალის გასვლის შემდეგ იმ საწარმოს, რომელმაც უკეთ მოახერხა:

ა) თავის თავის უზრუნველყოფა მუშა-ძალით—კოლექტიურ მეურნეობებთან ხელშეკრულებების დადებით და საჭირო კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობების შექმნით ახლად მიღებული მუშებისათვის;

ბ) უპიროვნებობის სრული ლიკვიდაცია—მუშების ცალკეულ დაზგებზე და მექანიზმებზე მიმაგრებით, მუშა-ძალის წესიერი განრიგებით და სხვა ამისთ.;

გ) სამუშაო ხელფასის სისტემის გარდაქმნა სარეკონსტრუქციო პერიოდის პირობების შესაბამისად,

დ) მუშათა მატერიალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობების გაუმჯობესება;

ე) ახალი საწარმო-სატეხნიკო კადრების შექმნა მუშათა კლასიდან და უწყებული საწარმოს მუშათა წრიდან; სპეციალისტებისათვის მუშაობის ნორმალური პირობების უზრუნველყოფა და მათი მატერიალური და საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესება.

3. გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოებული საწარმო მიიღებს ფულად პრემიას 5000 მან. რაოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

ის დამკვრელი მუშები და საინჟენერო-სატეხნიკო დარგში მომუშავეები, რომელთაც განსაკუთრებით იჩინეს თავი შრომის ფრონტზე, დაჯილდოვდებიან შრომის წითელი დროშის ორდენით.

ასეთ პირებად იგულისხმებიან ის დამკვრელი მუშები და საინჟინერო-სატეხნიკო დარგში მომუშავეები, რომელნიც თავიანთი თავდადებული მუშაობით და სოციალისტური წარმოებისადმი უაღრესად შეგნებული მოკყრობით იძლევიან ბოლშევიკური ტემპების საუკეთესო ნიმუშებს და სამაგალითო ორგანიზატორები არიან მასებისა მორიგ სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის.

აღნიშნული პირნი დასახელებულ უნდა იქნენ საწარმოთა მუშების ფართო კრებებზე და საწარმოო თათბირებზე და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს დასკვნითურთ, წარედგინონ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს შრომის წითელი ორდენით დასაჯილდოებლად.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ნოემბრის 4.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 256 №-ში 1931 წ. ნოემბრის 6.

---

241. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ-ის მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1931 წ. მაისის 25-ს დამტკიცებული მუშათა და გლეხთა მილიციის დებულების მე-8 მუხლის შესაბამისად (სსრკ-ის კან. კრ. 1931 წ. 33 №-ი, მუხ. 247) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ-ის მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარი სამმართველოს შესახებ.

2. აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ.ოლქის ცენტრალურმა აღმასრულებელმაკომიტეტებმა უნდა გამოსცენ თავიანთი „დებულებანი მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოს შესახებ“ საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარი სამმართველოს დებულების საფუძველზე; ამასთანავე აღნიშნულ მთავარ სამმართველოს უნდა ეკუთვნოდეს ზემოხსენებული ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის მუშათა და გლეხთა

ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილიციის მოქმედების საერთო ხელმძღვანელობისა, პლანირებისა და კონტროლის უფლება.

3. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. მარტის 13-ის დადგენილებით დამტკიცებული დროებითი დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მილიციისა და სისხლის საქმეთა სამძებროს მთავარი სამმართველოს შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. №-8 №-ი, მუხ. 74) გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს. თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ოქტომბრის 27.

ტფილისი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარი სამმართველოს შესახებ.

ნ ა რ ი I

ზოგადი დებულებანი.

1. მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარი სამმართველო ხელმძღვანელობას უწევს მილიციის ორგანოებს რევოლიუციონური წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვისა და აგრეთვე მოქალაქეთა პირადი უშიშროებისა, უფლებათა და ქონების დაცვის სფეროში.

2. საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარი სამმართველო არსებობს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან და მოქმედობს სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1931 წ. მაისის 25-ს დამტკიცებული, მუშათა და გლეხთა მილიციის ყველა ორგანოსათვის ერთიანი „მუშათა და გლეხთა მილიციის დებულების“ საფუძველზე (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 33 №-ი მუხ. 247).

ნ ა რ ი II

მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარი სამმართველოს ამოცანები.

3. მილიციის ორგანიზიციის სფეროში საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარ სამმართველოს დაეკისრება:

ა) მოაწყოს მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოები და ხელმძღვანელობა გაუწიოს მათ მოქმედებას;

ბ) დააწესოს არსებული წესისამებრ მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოების დისლოკაცია და აგრეთვე დაამტკიცოს დადგენილი წესისამებრ ამ ორგანოების სტრუქტურა და შტატები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) დაამყაროს მუშათა და გლეხთა მილიციის მომუშავეთა მიერ სამსახურის გავლის წესი და რეგულირება გაუწიოს ამ საქმეს;

დ) მოაწყოს მილიციის ორგანოებში პოლიტიკური აპარატი და ხელმძღვანელობა გაუწიოს მის მოქმედებას;

ე) მოაწყოს მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოების სამილიციო, სამწყობრო და საბრძოლო მომზადება და ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ მომზადებას; აგრეთვე განახორციელოს ღონისძიებანი საჭირო ტეხნიკური მოწყობილობით უზრუნველსაყოფად;

ვ) ხელმძღვანელობა გაუწიოს საუწყებო მილიციის გაფორმებას და დასდოს საერთო-საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის ამა თუ იმ სახელმწიფო დაწესებულებასთან, საწარმოსთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან გენერალური ხელშეკრულება ამა ორგანოების საწარმოთა, ნაგებობათა და სხვა ქონების დაცვის ორგანიზაციის შესახებ;

ზ) მოაწყოს მუშაობა, რათა მშრომელთა ფართო მასები უშუალოდ ასრულებდნენ მუშათა და გლეხთა მილიციისათვის დაკისრებულ ამა თუ იმ ცალკეულ ფუნქციებს, და ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ მუშაობას; ამ მიზნით მოაწყოს მილიციის ხელისშემწყობი სანებაყოფლო საზოგადოებები და ხელმძღვანელობა გაუწიოს მათ მოქმედებას.

თ) დაიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი მუშათა და გლეხთა მილიციის მომუშავეების მატერიალური და საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

4. რევოლიუციონური წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის სფეროში მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარ სამმართველოს დაეკისრება ხელმძღვანელობა გაუწიოს მილიციის ადგილობრივი ორგანოების მოქმედებას იმ ფუნქციების აღსრულების სფეროში, რაც აღნიშნულია სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1931 წ. მაისის 25-ს დამტკიცებულ მუშათა და გლეხთა მილიციის დებულების მე-17 და მე-20 მუხლებში.

5. დანაშაულობასთან ბრძოლის სფეროში მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარ სამმართველოს დაეკისრება:

ა) ხელმძღვანელობა გაუწიოს მილიციის ადგილობრივი ორგანოების მოქმედებას მუშათა და გლეხთა მილიციის დებულების მე-18 მუხლში აღნიშნული ფუნქციების განხორციელებისათვის;

ბ) აღნუსხოს და შეისწავლოს დანაშაულობის მოძრაობა და მისი გამომწვევი მიზეზები და შეუფარდოს პრაქტიკული ღონისძიებანი დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეს;

გ) დაამუშავოს დანაშაულობასთან ბრძოლის სამეცნიერო-სატეხნიკო მეთოდები; ხელმძღვანელობა გაუწიოს მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოების მიერ ამ მეთოდების განხორციელებას; მოახდინოს აგრეთვე სამეცნიერო-სატეხნიკო ექსპერტიზები.

6. პოლიტიკური მუშაობის სფეროში მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარ სამმართველოს დაეკისრება: მოაწყოს და ხელმძღვანელობა გაუწიოს მილიციის პირადი შედგენილობის პოლიტიკურ მუშაობას, სპეციალურ აღზრდას და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო კულტურული დონის ამაღლებას; მოამზადოს პოლიტ-მომუშავეების კადრები და ხელმძღვანელობა გაუწიოს პოლიტიკურ აღზრდის საქმეს მილიციის სასწავლებლებში.

7. კადრებით უზრუნველყოფის სფეროში მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარ სამმართველოს დაეკისრება:

ა) შეარჩიოს, აღნუსხოს და გაანაწილოს მილიციის კადრები და ხელმძღვანელობა გაუწიოს მილიციის ადგილობრივი ორგანოების დაკომპლექტებას;

ბ) შეიმუშაოს მუშათა და გლეხთა მილიციის კადრების მომზადებისა და გადამზადების გეგმები და განსაზღვროს სათანადო სასწავლებელთა ტიპი, ქსელი და შტატები;

გ) დააკომპლექტოს მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარი სამმართველოს სასწავლებლები და ხელმძღვანელობა გაუწიოს მილიციის ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში მყოფი სასწავლებლების დაკომპლექტებას;

დ) შეიმუშაოს მილიციის სასწავლებლების სასწავლო გეგმები და პროგრამები და ხელმძღვანელობა გაუწიოს მათ საპროგრამო-სამეთოდო მუშაობას.

8. ფინანსიურ-მატერიალური უზრუნველყოფის სფეროში მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარ სამმართველოს დაეკისრება:

ა) დააწესოს მილიციის ორგანოებისა და მომუშავეების სანივთო კმაყოფისა, შეიარაღებისა და შეჭურვის ნორმები და სახეები;

ბ) განახორციელოს ღონისძიებანი მილიციის ორგანოების ცხენებით დაკომპლექტებისა და სურსათით და ფურაჟით მომარაგებისათვის;

გ) ხელმძღვანელობა გაუწიოს ბინებისა და საუწყებო შენობების მშენებლობას, რასაც მილიციის ორგანოები ანხორციელებენ;

დ) შეადგინოს მილიციის ორგანოების შესანახად საკონტროლო ციფრები ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტისა და ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის და მოახდინოს ამ ბიუჯეტებით გათვალისწინებულ სახსართა ცენტრალიზაცია;

ე) დაამტკიცოს მუშათა და გლეხთა მილიციის ადგილობრივი ორგანოების მიზნობრივ სახსართა ხარჯთაღრიცხვები—ცალკეულ ადმინისტრატიულ-ტერიტორიალურ ერთეულთა შორის ამ სახსართა გარდანაწილების უფლებით;

ვ) განაგოს სახელმწიფო ბიუჯეტით მილიციის შესანახად გათვალისწინებული კრედიტები;

ზ) განახორციელოს მილიციის მომუშავეების სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფა;

თ) თვალყური ადევნოს მილიციის მომუშავეებისა და მათი ოჯახებისათვის დადგენილ შეღავათთა და უპირატესობათა ზედმიწევნით განხორციელებას.

ᲗᲐᲠᲘ III

მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარი სამმართველოს უფლებანი.

9. დაკისრებულ ამოცანათა განხორციელებისათვის მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარ სამმართველოს უფლება აქვს:

ა) შეიმუშაოს და წარუდგინოს საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მთავრობის დადგენილებების პროექტები იმ საკითხების შესახებ, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოების მოქმედებას ან მილიციის მომუშავეების ინტერესებს ეხება;

ბ) გამოსცეს წესდებები, დებულებები, ბრძანებები და ინსტრუქციები იმ საკითხების შესახებ, რაც მილიციის ორგანოების მოქმედებას ეხება;

გ) მოაწყოს სასწავლებლები მილიციის კადრების მომზადების და გარდამზადებისათვის;

დ) გამოსცეს დადგენილი წესისამებრ ოფიციალური კრებულები, მიმოხილვები და სხვა ბეჭდვითი მასალები იმ საკითხების თაობაზე, რაც მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოების მოქმედებას ეხება;

ე) განიხილოს საჩივრები მუშათა და გლეხთა მილიციის ადგილობრივი ორგანოებისა და ამ ორგანოების თანამდებობის პირთა მოქმედებაზე;

ვ) გააუქმოს, შესცვალოს და შეაჩეროს მილიციის ადგილობრივი ორგანოების განკარგულებანი;

ზ) მოიწვიოს ყრილობები და თათბირები იმ საკითხებისათვის, რაც მუშათა და გლეხთა მილიციის მოქმედებას ეხება.

შენიშვნა. დანაშაულთა გამოკვლევის სფეროში მილიციის ადგილობრივი ორგანოების მოქმედებასა და განკარგულებაზე შეტანილი საჩივრების განხილვა, და აგრეთვე ამავე საკითხის სფეროში ამ ორგანოების განკარგულებათა გაუქმება, შეცვლა და შეჩერება შეიძლება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესისამებრ.

10. მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარი სამმართველოს და მისი ადგილობრივი ორგანოების სტრუქტურას და შტატებს დააწესებს მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარი სამმართველოს უფროსი საქართველოს სს-რის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

სამოქალაქო სამართალი

242. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 428 მუხლის 1-ლი შენიშვნისა, 430 მუხლის და მისი 1-ლი შენიშვნისა და 431 და 434 მუხლების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 428 მუხლის 1-ლი შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა 1.** უარი მემკვიდრეობაზე უნდა განეცხადოს სათანადო სანოტარო ორგანოს სამი თვის განმავლობაში დღიდან მემკვიდრეობის გახსნისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უარის განმცხადებლის წილი სახელმწიფოზე გადადის".

2. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 430 მუხლი და მისი 1-ლი შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„430. მემკვიდრეების გამოწვევა პუბლიკაციით ან სხვა საშუალებით არ მოხდება, ხოლო იმ ადგილის სანოტარო ორგანომ, სადაც მემკვიდრეობა გაიხსნება, სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების შესახები ცნობების მიღებისას, უნდა იხმაროს სამკვიდროს დასაცავი ღონისძიება, უკეთუ საამისოდ არსებობს 428 მუხლში და 429 მუხლის შენიშვნაში აღნიშნული პირობები. სამკვიდროს დაცვა განიგრძობა ყველა მემკვიდრის გამოცხადებამდე, ხოლო არა უხანგრძლივეს ექვსი თვისა.

შენიშვნა 1. სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანო იმ ადგილისა, სადაც სამკვიდროს დამტოვებელი მუდმივ ცხოვრობდა, გაიგებს-რა სამკვიდროს დამტოვებლის სიკვდილს, მოვალეა დაუყოვნებლივ აცნობოს ეს სათანადო სანოტარო ორგანოს".

3. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 431 და 434 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„431. უკეთუ მომქმედი საწარმოს (საწარმო შენობა და სხვ.) მემკვიდრენი ადგილობრივ არ იმყოფებიან, სანოტარო ორგანო დაუნიშნავს აღნიშნულ ქონებას პასუხისმგებელ მზრუნველს იმ სახელმწიფო ორგანოს წარდგენით, რომელიც განაგებს სათანადო საწარმოს თუ ქონებას".

„434. კანონით თუ ანდერძით სამემკვიდრეოდ გამოწვეულ პირს შეუძლია მიიღოს ადგილობრივი სანოტარო ორგანოსაგან მისი მემკვიდრეობის უფლების დამადასტურებელი მოწმობა".

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ოქტომბრის 27.
ტფილისი.

სანადირო და სათევზე მეურნეობა

243. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის თევზსამეურნეო და ჰიდრო-ბიოლოგიური სამეცნიერო სადგურის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის თევზსამეურნეო და ჰიდრო-ბიოლოგიური სამეცნიერო სადგურის შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **პ. ტყაბლაძე.**

1931 წ. ნოემბრის 4.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის თევზსამეურნეო და ჰიდრო-ბიოლოგიური სამეცნიერო სადგურის შესახებ.

I. ზოგადი საკითხები.

1. თევზსამეურნეო და ჰიდრო-ბიოლოგიური სამეცნიერო სადგური საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის უშუალო გამგებლობაშია და იმყოფება მუდმივ ქ. ბათომში.

სადგურის სამეცნიერო-საკვლევო მუშაობას ამა დებულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საკითხების სფეროში საერთო ხელმძღვანელობას გაუწევს სსრკ-ის მომარაგების სახალხო კომისარიატის სათევზე მეურნეობის ცენტრალური სამეცნიერო ინსტიტუტი.

2. თევზსამეურნეო და ჰიდრო-ბიოლოგიური სამეცნიერო სადგურის ამოცანებია:

ა) საქართველოს სსრ ზღვისა და მტკნარ წყალთა საერთო ჰიდრო-ბიოლოგიური შესწავლა მათი ბუნებრივი და საწარმოო ძალების გამოაშკარავებისა და გამოყენებისათვის სათევზე მეურნეობის ინტერესების შესაბამისად;

ბ) საქართველოს სსრ თევზის რეწაობის რაიონების სისტემატიური გამოკვლევა სათევზე მეურნეობის განვითარებისა და რაციონალიზაციის საკითხების გადასაწყვეტად;

გ) საქართველოს სსრ თევზის მრეწველობის საპერსპექტივო და სამუშაო გეგმების შედგენაში მონაწილეობის მიღება და აგრეთვე სათევზე მეურნეობის საკითხების გამო სამეცნიერო კონსულტაცია;

დ) სათევზე მეურნეობისათვის სპეციალისტების კადრების მომზადებაში მონაწილეობის მიღება—ახალგაზრდა სპეციალისტთა და სათანადო სპეციალობის უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთათვის საწარმოო პრაქტიკის ორგანიზაციით და აგრეთვე მუშაობაში თევზის მრეწველობის პრაქტიკულ მომუშავეთა ჩაბმით;

ე) იმ საკითხების შესწავლა, რაც დაკავშირებულია წყალსაქცევებიდან ჩამდინარე წყლების გავლენასთან თევზის რეწაობის რაიონების გაბინძურებაზე.

3. მე-2 მუხლში აღნიშნული ძირითადი ამოცანების გარდა, თევზსამეურნეო და ჰიდრო-ბიოლოგიურ სადგურს უფლება აქვს იკისროს, დაინტერესებულ უწყებასთან, დაწესებულებასთან, საწარმოსთან და ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულებისა და შეთანხმების საფუძველზე, სხვა სამეცნიერო-ბიოლოგიური სამუშაოების წარმოება საქართველოს სსრ წყალთა ბასეინებში, კერძოდ—შეისწავლოს ნავთსადგურების ნაგებობაზე და გამართულებებზე ბიოლოგიური ფაქტორების გავლენის საკითხები, აგრეთვე წყალ-მიწოდების წყაროებისა, საკურორტო ადგილებისა, ნავთსადგურებისა და სხვ. ამისთ. გაბინძურებაზე წყალსაქცევებიდან ჩამდინარე წყლების გავლენასთან დაკავშირებული საკითხები.

4. ზემოაღნიშნული ამოცანების შესაბამისად თევზსამეურნეო და ჰიდრო-ბიოლოგიურ სამეცნიერო სადგურს უფლება აქვს:

ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) აწარმოოს საკვლევო სამუშაოები საქართველოს სსრ ზღვისა და შინაგან წყალთა ბასეინებში;

ბ) მოაწყოს სათანადო სამეცნიერო ექსპედიციები და აგრეთვე დაარსოს დაკვირვების მუდმივი და დროებითი პუნქტები;

გ) მოაწყოს სადგურის ამოცანების შესაბამის თემებზე ლექციები, მოხსენებები და სხვა ამისთ., აგრეთვე გამართოს გამოფენები და მონაწილეობა მიიღოს გამოფენებში;

დ) გამოსცეს სამეცნიერო ნაშრომები და პოპულარული ლიტერატურა სადგურის მოქმედებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ;

ე) შეიძინოს საჭირო ქონება, დასდვას ხელშეკრულებები და შეთანხმებები სადგურის ამოცანების შესაბამისად, აგრეთვე ისარჩელოს და პასუხი აგოს სასამართლო დაწესებულებებსა და სახელმწიფო არბიტრაჟში სადგურის მუშაობასთან დაკავშირებული საკითხების გამო.

5. თევზსამეურნეო და ჰიდრო-ბიოლოგიურ სამეცნიერო სადგურს აქვს ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბის გამოსახულებით და თავისი სახელწოდებით.

II. სადგურის მმართველობა.

6. თევზსამეურნეო და ჰიდრო-ბიოლოგიური სამეცნიერთ სადგურის სათავეში სდგას დირექტორი, რომელსაც დანიშნავს და დაითხოვს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარი.

სადგურის დირექტორი: ა) ხელმძღვანელობას გაუწევს მთლად სადგურის მოქმედებას; ბ) დანიშნავს და დაითხოვს, შრომის მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სადგურის ყველა თანამშრომელს, ხოლო სწავლულ სპეციალისტებსა და სამეცნიერო დარგის თანამშრომლებს—საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისრის დამტკიცებით;

გ) განაგებს სადგურის სახსარსა და ქონებას არსებული წესისამებრ დამტკიცებული გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში.

7. სადგურთან არსებობს სამეცნიერო საბჭო იმ ორგანოს სახით, რომელიც საერთო მიმართულებას მისცემს სადგურის სამეცნიერო-საკვლევო მოქმედებას, განიხილავს სადგურის სამუშაოთა გეგმას და დასკვნებს მისცემს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის მიერ სათევზე მეურნეობისა და თევზის მრეწველობის თაობაზე შეტანილი საკითხების გამო.

სამეცნიერო საბჭო მომქმედობს სადგურის დირექტორის თავმჯდომარეობით და შესდგება სადგურის მთელი სამეცნიერო პერსონალისაგან და საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატისა, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისა, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა, სსრკ-ის მომარაგების სახალხო კომისარიატის სათევზე მეურნეობის ცენტრალური სამეცნიერო ინსტიტუტისა, საჭამადო-საგემოო მრეწველობის ამიერკავკასიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტისა და სააქციო საზოგადოების „საქართველოს თევზის“ წარმომადგენელთაგან და აგრეთვე სხვა დაინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერესებული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების (სამეურნეო და სამეცნიერო-საკვლეო) წარმომადგენელთაგან—საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის მიწვევით.

III. სადგურის სახსარი.

8. თევზსამეურნეო და ჰიდრო-ბიოლოგიური სამეცნიერო სადგურის სახსარს შეადგენს:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტით გადადებული ასიგნები;

ბ) სსრკ-ის მომარაგების სახალხო კომისარიატის სათევზე მეურნეობის ცენტრალური სამეცნიერო ინსტიტუტისა და სხვა დაწესებულებების და ორგანიზაციების დოტაციები;

გ) სადგურის სპეციალური სახსარი, რაც შეიქმნება დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ სადგურისათვის მინდობილი სამუშაოების სასყიდლისაგან და სადგურის სხვა შემოსავლისაგან.

9. სადგურის სპეციალური სახსრის შექმნისა, შენახვისა და ხარჯვის წესი განისაზღვრება ინსტრუქციით, რასაც გამოსცემს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი, საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, „სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების სპეციალურ სახსართა შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 27-ის დადგენილების საფუძველზე (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-12 №-ი, მუხ. 141).

ვაჭრობა. მომარაგება

244. დადგენილება ს.კ.ს.

თუთუბოს და თრიმლის თავისუფალი ვაჭრობის აკრძალვის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. თუთუბოს და თრიმლის გაყიდვა ნებადართული აქვთ მარტოოდენ სათანადო დამმზადებელ ორგანიზაციებს და ტრესტ „დუბიტელ“-ს, რომელთაც უფლება აქვთ იყიდონ ეს საქონელი.

2. ყველა ის ორგანიზაცია და პირი, რომელსაც დამზადებული აქვს თუთუბო ან თრიმლი, იმათ გარდა, ვისაც ეს ნებადართული აქვს დადგენილი წესისამებრ, მოვალეა, ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, დაარეგისტროს მთლად ქონებული თუთუბო და თრიმლი ტრესტ „დუბიტელ“-ის განყოფილებაში ან ადგილობრივ სასოფლო საბჭოში.

3. თუთუბოს და თრიმლის ფასს დააწესებს მომარაგების სახალხო კომისარიატი.

4. ამა დადგენილების 1-სა და მე-2 მუხლში აღნიშნული წესის დარღვევისათვის დამნაშავე მიცემულ უნდა იქნეს პასუხისგებაში სისხლის სამართლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესით სისხლის სამართლის კოდექსის 111 მუხლის თანახმად, ამასთანავე, მის ხელში აღმოჩენილი თუთუბო და თრიმლი ჩამოერთმევა მას მომარაგების სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილ მტკიცე ფასად.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ბ. ტყაბლაძე.**

1931 წ. ნოემბრის 16.
ტფილისი.

ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი

245. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

საქართველოს სსრ ახალ ადმინისტრატიულ-ტერიტორიალურ დაყოფასთან დაკავშირებით და გზათა სახალხო კომისარიატის გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის ცენტრალური სამმართველოს დებულების დამტკიცების თაობაზე გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის დეკემბრის 7-ის დადგენილების მე-3 მუხლისა (სსრკ-ის კან. კრ. 1930 წ. 59 №-ი, მუხ. 630) და რესპუბლიკანური და ადგილობრივი საგზაო ორგანოების ძირითადი ფუნქციების შესახებ და ა/კსფსრ-ის გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ გამოცემული ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. მარტის 12-ის დადგენილებების (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-5 №-ი, მუხ. 56 და 57) შესაბამისად—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს შესახებ.

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის მაისის 14-ის დადგენილებით დამტკიცებული დროებითი დებულება საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს შესახებ) საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 11 №-ი, მუხ. 99; 1930 წ. 13 №-ი, მუხ. 201) გაუქმებულ იქნეს.

3. წინადადება მიეცეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში ამა დებულებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ოქტომბრის 27.
ტფილისი.

245
მოსკოვის ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ.

1. საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველო განაგებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გზატკეცილებისა და ყამირგზების მშენებლობას, შენახვას და რემონტს, აწესრიგებს საავტომობილო საქმეს და ანხორციელებს მათ მიმართ სათანადო ზედამხედველობას.

2. საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველო, ექვემდებარება რა უშუალოდ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ა/კსფსრ-ის გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს მიმართ თანაბარი სახელწოდების სახალხო კომისარიატის მდგომარეობაშია და თავისი მოქმედებით განახორციელებს როგორც საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ისე ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს დირექტივებსა და დავალებებს.

უკეთუ მთავარი სამმართველოს დირექტივა და დავალება მომქმედ კანონმდებლობას არ შეესაბამება, საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველო განაპროტესტებს ასეთ განკარგულებას რესპუბლიკის სახალხო კომისარიატებისათვის დადგენილი წესისამებრ.

3. საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველო დაკისრებული ამოცანების განსახორციელებლად გამოსცემს თავისი გამგებლობის ფარგლებში განკარგულებებს, დადგენილებებს, დებულებებს, ბრძანებებს, ინსტრუქციებს, ცირკულარებს და სხვ. და აგრეთვე დასდებს ხელშეკრულებას და შეთანხმებას.

სამმართველოს განკარგულება შეიძლება შეჩერებულ, შეცვლილ ან გაუქმებულ იქნეს სახალხო კომისარიატების საერთო დებულებით დადგენილი წესისამებრ.

4. საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს გამგებლობაში არის მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებული საგზაო-სამშენებლო კონტორა; ეს კონტორა მოქმედობს სამეურნეო ანგარიშის პრინციპზე საგზაო-სამშენებლო კონტორების დებულების შესაბამისად შემუშავებული წესდების თანახმად, რომელ დებულებასაც გამოსცემს ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველო.

5. გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს ადგილობრივი ორგანოები, რომელნიც განსაკუთრებული დებულებების საფუძველზე მოქმედობენ, არიან:

ა) აფხაზეთის ავტ. სსრ-ის, და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საგზაო განყოფილება;

გ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების საგზაო მეურნეობის ინსპექტორები (განყოფილებები) და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოების სათანადო ორგანოები.

6. საქართველოს სსრ-ის გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს, ავტონომიური რესპუბლიკების გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოების და ავტონომიური ოლქის საგზაო განყოფილების ოპერატიული ორგანოები საერთო-საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების გამგებლობისა, მიმდინარე რემონტისა და შენახვის სფეროში არიან სახაზო უბნები საექსპლოატაციო მნიშვნელობის საერთო-საკავშირო და რესპუბლიკანურ გზებზე; აღნიშნული სახაზო უბნები მოქმედობენ საქართველოს სსრ-ის გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

7. საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს გამგებლობის საგანს შეადგენს:

1. საგზაო და საავტომობილო საქმის საერთო გამგებლობის სფეროში:

ა) თვალყური ადევნოს, რათა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შესრულებულ იქნეს სსრ კავშირის, ა/კსფსრ-ის და საქართველოს სსრ-ის კანონმდებლობა და აგრეთვე სსრ კავშირის გზათა სახალო კომისარიატისა, ა/კსფსრ-ის გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს და საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს განკარგულებანი, რაც საგზაო მეურნეობის და საავტომობილო საქმის მოწესრიგებას შეეხება;

ბ) შეიმუშაოს კანონპროექტები, რითაც მოწესრიგებულ იქნება რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების საგზაო მეურნეობა და საავტომობილო საქმე, და წარუდგინოს ეს კანონპროექტები დასამტკიცებლად ან დასადასტურებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს; შეათანხმოს ადგილობრივი საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების მიერ გამოსაცემ სავალდებულო დადგენილებათა პროექტები გზატკეცილებზე და ყამირგზებზე, აგრეთვე დასახლებული ადგილების საერთო სარგებლობის გზებზე ავტო-მოტომანქანების მოძრაობის უშიშროებისა და წესრიგის დაცვის საკითხების შესახებ;

გ) შეიმუშაოს საგზაო მშენებლობის საკონტროლო ციფრები;

შეადგინოს საერთო-საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებისათვის საგზაო მეურნეობის საპერსპექტივო და საწარმოო გეგმები; განიხილოს და შეათანხმოს ასეთივე გეგმები ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისათვის; შეადგინოს ამ გეგმებისა და რესპუბლიკანური ორგანიზაციების განცხადებების საფუძველზე, საქართველოს სსრ საგზაო მეურნეობის საპერსპექტივო და საწარმოო გეგმები; წარუდგინოს ეს გეგმები, სახელმწიფო საგეგმო კომისიის მეშვეობით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსახილველად და იმავე დროს

ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს;

თვალყური ადევნოს, რათა საგზაო ორგანოებმა შეასრულონ საგზაო მშენებლობის გეგმები;

დ) აწარმოოს საგზაო და საავტომობილო-სატრანსპორტო მეურნეობის სტატისტიკა რესპუბლიკის ფარგლებში;

ე) შეადგინოს, საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საგზაო მშენებლობისათვის გადადებული სახსრის ფარგლებში, წლიური საწარმოო-საფინანსო გეგმები და წარუდგინოს დასადასტურებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს; ამასთანავე ეს გეგმები სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დადასტურების შემდეგ უნდა წარედგინოს ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს;

ვ) შეადგინოს, რესპუბლიკანური მნიშვნელობის საგზაო მშენებლობისათვის საერთო-საკავშირო, ფედერატიული და რესპუბლიკანური ბიუჯეტებით გადადებული სახსრის ფარგლებში, წლიური საწარმოო-საფინანსო გეგმები და წარუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს; ამავე დროს გაუგზავნოს აღნიშნული გეგმები ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს ცნობისათვის, ხოლო სათანადო შემთხვევაში—შემდგომი წარმართვისათვის;

ზ) შეადგინოს, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად, რესპუბლიკანური საგზაო ფონდის განაწილების პროექტები და წარუდგინოს ეს პროექტები დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს;

თ) თვალყური ადევნოს, რათა ადგილობრივმა საგზაო ორგანოებმა სწორედ დახარჯონ საგზაო მშენებლობისათვის გაღებული ყველა სახსარი;

ი) აწარმოოს ტეხნიკური ძიება, ეკონომიური გამოკვლევა და საცდელი მუშაობა საგზაო და საავტომობილი მეურნეობის სფეროში;

კ) შეადგინოს საერთო-საკავშირო, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სია და წარმართოს იგი დასამტკიცებლად დადგენილი წესისამებრ;

შეიმუშაოს და წარადგინოს უმაღლეს ინსტანციებში მასალა გზების კლასიფიკაციისათვის;

შეადგინოს საგზაო და ეკონომიური რუკები;

ლ) ჩაატაროს მუშაობა საგზაო მეურნეობის ინვენტარიზაციის დარგში და ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ მუშაობას;

მ) საერთო ტეხნიკური ზედამხედველობა გაუწიოს საგზაო მშენებლობას, რასაც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე აწარმოებენ ქვემდებარე ორგანოები, სახელმწიფო დაწესებულებანი, საწარმონი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები; განახორციელოს ზედამხედველობა იმისათვის, რომ საგზაო მშენებლობის წარმოების დროს შესრულებულ იქნეს დადგენილი ტეხნიკურ-ეკონომიური ნორმები, საზომები და წესები გზებისა და მათი ნაგებობის მოწყობის, შენახვის, გამოყენების, რემონტის და დაცვის საქმეში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ) შეიმუშაოს, გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის ცენტრალური და მთავარი სამმართველოების მიერ დადგენილ ფარგლებში, საგზაო ნაგებობათა ტეხნიკური ნორმები და პროექტების ტიპები;

ო) შეიმუშაოს, განიხილოს და სათანადო დამტკიცებისათვის წარადგინოს საგზაო მშენებლობის პროექტები; შეიმუშაოს, განიხილოს და დაამტკიცოს საგზაო ნაგებობათა პროექტები; წარუდგინოს დასამტკიცებლად ტეხნიკურის მხრით განსაკუთრებით რთულ საგზაო ნაგებობათა პროექტები ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს;

პ) განახორციელოს ღონისძიებანი საგზაო სამუშაოთა მექანიზაციისათვის;

ჟ) განახორციელოს შრომის ტეხნიკური ნორმირება საგზაო მეურნეობაში და საავტომობილო საქმეში;

რ) გამოარკვიოს ტეხნიკური მუშა-ძალის საჭიროება საგზაო მშენებლობისა და საავტომობილო საქმისათვის;

ს) მოამზადოს კადრები საგზაო მეურნეობის და საავტომობილო ტრანსპორტისათვის; მოაწყოს დაბალი და საშუალო კვალიფიკაციის საგზაო მომუშავეთა მოსამზადებელი და გადასამზადებელი სპეციალური სასწავლებლები და განაგოს ეს სასწავლებლები; მოაწყოს სპეციალური საგზაო სასწავლებლების მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკა; შეიმუშაოს და განახორციელოს საშუალო და უმაღლესი ტეხნიკური პერსონალის სამეცნიერო-ტეხნიკური მივლინების გეგმები კვალიფიკაციის ასამაღლებლად და ტეხნიკური ცოდნის განსაახლებლად;

ტ) თვალყური ადევნოს და ხელი შეუწყოს საგზაო მშენებლობაში მოსახლეობის სისტემატიურ და გეგმაშეწონილ მონაწილეობას შრომით და სახსრით;

უ) გაანაწილოს ადგილობრივ საგზაო ორგანოებს შორის დეფიციტური მასალა;

ფ) აწარმოოს სამეცნიერო-საკვლევო მუშაობა სამეცნიერო გამოკვლევათა იმ საერთო გეგმის საფუძველზე, რასაც განსაზღვრავს სსრ კავშირის გზათა სახალხო კომისარიატი, და აგრეთვე ამ კომისარიატის დირექტივების საფუძველზე;

ქ) მოიწვიოს ყრილობები და თათბირები საქართველოს სსრ საგზაო და საავტომობილო მეურნეობის საკითხების შესახებ, სხვა უწყებებისა და ორგანიზაციების მონაწილეობით, და აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს სხვა უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ მოწყობილ ყრილობებსა და თათბირებში;

ღ) შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისიძებანი საგზაო მეურნეობისა და საავტომობილო ტრანსპორტის რეკონსტრუქციისა და რაციონალიზაციისათვის;

ყ) შეადგინოს პერიოდული და საერთო ანგარიშები საქართველოს სსრ-ში საგზაო და საავტომობილო მეურნეობის მდგომარეობის შესახებ და იმ ორგანოების მოქმედების შესახებ, რომელნიც ამ მეურნეობას განაგებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სპეციალურად საავტომობილო მეურნეობის მოწესრიგებისა და მისთვის ზედამხედველობის გაწევის სფეროში:

ა) შეადგინოს ავტო-მიმოსვლის განვითარებისა და საქართველოს სსრ ავტო-ტრანსპორტით მომარაგების საპერსპექტივო და წლიური გეგმების პროექტები;

ბ) მონაწილეობა მიიღოს საქართველოს სსრ-ში შემოზიდული ავტო-მოტო-მანქანების და მათი სამარაგო ნაწილების განაწილებაში;

გ) ინსტრუქტირება და ინსპექტირება გაუწიოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომქმედ ავტო-ტრანსპორტის საწარმოთა და ავტო-მეურნეობათა მუშაობას და აგრეთვე ზედამხედველობა გაუწიოს ამ მუშაობას უშუალოდ და ადგილობრივი საგზაო ორგანოების მეშვეობით; განახორციელოს ავტო-საწარმოთა და ავტო-მეურნეობათა ტეხნიკური კონსულტაცია საავტომობილო საქმის საკითხების შესახებ;

დ) შეიმუშაოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ავტო-მოტო-ტრანსპორტის ექსპლოატაციის საკითხები ადგილობრივი საგზაო ორგანოების მიერ წარდგენილი მასალისა და საინსპექტორო გამოკვლევების და სამეცნიერო შესწავლის საშუალებით მიღებული ცნობების საფუძველზე;

ე) გამოიკვლიოს საქართველოს სსრ ფარგლებში სხვადასხვა ტიპისა და მარკის ავტო-მოტო-მანქანების მუშაობა და მისცეს დასკვნა ამ საკითხების შესახებ; შეარჩიოს საქართველოსათვის გამოსადეგი ტიპები ავტო-მანქანებისა;

ვ) შეაგროვოს საალნუსხო ცნობები საავტომობილო საქმის შესახებ და შეიმუშაოს ავტო-მოტო-მანქანების აღნუსხვის ცნობები; აწარმოოს ახალი მანქანების მუშაობის აღნუსხვა;

ზ) განიხილოს ავტო-საწარმოთა და ავტო-მეურნეობათა მიერ წარდგენილი ანგარიშგება ავტო-მოტო-მანქანების ექსპლოატაციის შესახებ;

თ) შეიმუშაოს საავტო-ტრანსპორტო ბეგარასთან დაკავშირებული საკითხები.

3. საგზაო მეურნეობის ობიექტების უშუალო გამგებლობის სფეროში:

ა) უშუალოდ განაგოს საერთო-საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზატკეცილები და ყამირგზები (ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ტერიტორიის გამოკლებით);

ბ) განახორციელოს საერთო-საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების მიმდინარე რემონტი და შენახვა (ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ტერიტორიის გამოკლებით);

გ) განახორციელოს საერთო-საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების კაპიტალური მშენებლობა (ახალი მშენებლობა, აღდგენითი მუშაობა და კაპიტალური რემონტი);

დ) განახორციელოს, სათანადო უწყებებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან, აგრეთვე სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაქო საბჭოებთან შეთანხმებით, კაპიტალური მშენებლობა იმ გზებისა, რაც უშუალოდ მომსამსახურეობას უწევს ცალკე უწყებებს, საწარმოებს და ორგანიზაციებს, ან ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისა და ამ შემთხვევაში მიიღოს სათანადო სახსარი, რომელიც გადადებულია ხარჯთაღრიცხვით და სამრეწველო საფინანსო გეგმებით, ან და მიიღოს ეს სახსარი ადგილობრივი საგზაო ფონდებიდან;

ე) უშუალოდ განაგოს ყველა საგზაო მექანიკური იარაღები რესპუბლიკაში, განახორციელოს მათი რემონტი და გაანაწილოს ეს იარაღები ადგილობრივ საგზაო ორგანოებს შორის მათი განცხადებების თანახმად.

შენიშვნა. „ბ“ და „გ“ პუნქტებში აღნიშნულ ფუნქციებს გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველო განახორციელებს გზების სახაზო უბნების და სამეურნეო ანგარიშზე მომქმედი სამშენებლო კონტორის მეშვეობით.

4. ადგილობრივი ორგანოების მუშაობის ხელმძღვანელობისა, ინსტრუქტირებისა და ინსპექტირების სფეროში:

ა) საერთო ხელმძღვანელობა, ინსტრუქტირება და ინსპექტირება გაუწიოს ავტონომიური რესპუბლიკების, გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოების, ავტონომიური ოლქის საგზაო განყოფილების და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოების საგზაო ორგანოების მუშაობას;

ბ) კერძოდ—ხელმძღვანელობა გაუწიოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ საგზაო ორგანოებს ამ რესპუბლიკების და ოლქის ფარგლებში საერთო-საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზატკეცილების და ყამირგზების უშუალო გამგებლობისა, მიმდინარე რემონტისა და მოვლა-შენახვის საქმეში;

გ) ხელმძღვანელობა გაუწიოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ საგზაო ორგანოებს საავტომობილო მეურნეობის მოწესრიგებისა და მისთვის ზედამხედველობის გაწევის საქმეში;

დ) ხელმძღვანელობა, ინსტრუქტირება და ინსპექტირება გაუწიოს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების, საქალაქო საბჭოების, საგზაო ორგანოებს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების უშუალო გამგებლობისა, კაპიტალური მშენებლობისა, რემონტისა და მოვლა-შენახვის საქმეში, აგრეთვე დახმარება გაუწიოს მათ აღნიშნული ფუნქციების აღსრულებისათვის;

ე) დახმარება გაუწიოს საგზაო ორგანოებს გზების გაუმჯობესებისა და განვითარების ღონისძიებათა განხორციელებაში;

ვ) აწარმოოს ავტონომიური რესპუბლიკებისა, ავტონომიური ოლქის და რაიონების ეკონომიური გამოკვლევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. რესპუბლიკის გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს აპარატის სტრუქტურას განსაზღვრავს საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი არსებული წესისამებრ.

9. გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს დაფინანსება განხორციელდება სსრ კავშირის, ა/კსფსრ-ის და საქართველოს სსრ-ის კანონმდებლობით დადგენილი წესისამებრ.

10. სამმართველოს უფროსს და მის მოადგილეებს დანიშნავს და უკანვე გაიწვევს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

სამმართველოს უფროსი მონაწილეობას მიიღებს სახალხო კომისართა საბჭოს სხდომებში სათათბირო ხმის უფლებით.

შენიშვნა. უკეთუ სახალხო კომისართა საბჭოს სხდომას სამმართველოს უფროსი არ დაესწრო, სხდომაში იმავე უფლებით მონაწილეობას მიიღებს მისი მოადგილე.

11. სამმართველოს უფროსი ხელმძღვანელობს სამმართველოს მუშაობას და აგრეთვე კონტროლსა და ზედამხედველობას უწევს სამმართველოს ქვემდებარე დაწესებულებათ და პირთ.

12. სამმართველოს უფროსს უფლება აქვს ინდივიდუალურად მიიღოს გადაწყვეტილება ყველა საკითხის შესახებ, რაც სამმართველოს გამგებლობის საგანს შეადგენს.

კერძოდ, სამმართველოს უფროსს უფლება აქვს:

ა) განსაზღვროს ის საქმეები, რაც მისი მოადგილეების გამგებლობას ექვემდებარება, და აგრეთვე გაანაწილოს მუშაობა სამმართველოს განყოფილებებსა და ნაწილებს შორის;

ბ) დანიშნოს, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიყვანოს და დაითხოვს, მომქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამმართველოს პირადი შედგენილობა;

გ) განკარგოს ხარჯთაღრიცხვით გადადებული კრედიტები, არსებული წესების დაცვით, და აგრეთვე დაამტკიცოს, ამა დებულებით და სათანადო კანონებით და წესებით დადგენილ ფარგლებში, პროექტები და ხარჯთაღრიცხვები ოპერატიული ხარჯების დარგში;

დ) განაპროტესტოს, დადგენილი წესისამებრ, თავისი გამგებლობის ფარგლებში, ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტებისა, საქალაქო საბჭოებისა, რესპუბლიკის სახალხო კომისარიატებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებებისა და აგრეთვე აფხაზეთის ავტ. სსრ-ის, აჭარისტანის ავტ. სსრ-ის და სამხრეთ. ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებანი.

13. საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრასპორტის სამმართველოს აქვს ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო დერბის გამოსახულებით და თავისი სახელწოდების აღნიშვნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

246. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ ადგილობრივი საგზაო ორგანოების დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ კონსტიტუციასა და ადმინისტრატიულ დაყოფაში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით და რესპუბლიკანური და ადგილობრივი საგზაო ორგანოების ძირითადი ფუნქციების შესახებ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის მარტის 12-ის დადგენილების შესაბამისად (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-5 №-ი, მუხ. 56)—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ;

1. დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება საქართველოს სსრ ადგილობრივი საგზაო ორგანოების შესახებ.

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის მაისის 26-ის დადგენილებით დამტკიცებული დროებითი დებულება ადგილობრივი საგზაო ორგანოების შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-13 №-ი, მუხ. 201) გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ოქტომბრის 27.
ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ადგილობრივი საგზაო ორგანოების შესახებ.

1. აფხაზეთის ავტ. სსრ-ის, აჭარისტანის ავტ. სსრ-ის, სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის, რაიონებისა და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოების ტერიტორიის ფარგლებში, ქვემოაღნიშნულ საფუძველზე, გზატკეცილებისა და ყამირგზების გამგებლობისათვის და საავტომობილო მეურნეობის მოწესრიგებისათვის მოეწყობა ადგილობრივი საგზაო ორგანოები:

ა) აფხაზეთის ავტ. სსრ და აჭარისტანის ავტ. სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოები;

ბ) სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საგზაო განყოფილება;

გ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების ინსპექტორები (განყოფილებანი) საგზაო მეურნეობის დარგში და ზემოაღნიშნული საქალაქო საბჭოების საათანადო ორგანოები.

2. პირველ მუხლში აღნიშნული საგზაო ორგანოები ექვემდებარებიან საათანადო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს და თავიანთი მოქმედებით განახორციელებენ როგორც ხსენებული კომიტეტებისა და საბჭოების, ისე საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს დირექტივებს, დავალებებს და განკარგულებებს; ამასთანავე საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს ეკუთვნის უფლება საერთო და კერძო ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა გაუწიოს აღნიშნულ ადგილობრივ საგზაო ორგანოებს.

3. ავტონომიური რესპუბლიკების გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოებს და ავტონომიური ოლქის საგზაო განყოფილებას დაეკისრებათ სათანადო ტერიტორიის ფარგლებში უშუალოდ განაგონ საერთო-საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზები, განახორციელონ ამ გზების რემონტი და შენახვა, მოაწესრიგონ საავტომობილო—მეურნეობა და აგრეთვე ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა გაუწიონ თავიანთ ქვემდებარე სარაიონო საგზაო ორგანოებს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობისა, რემონტისა და შენახვის საქმეში.

ზემოაღნიშნული სამმართველოები და განყოფილება მოქმედობენ სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ მიღებული და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

4. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოების საგზაო ორგანოებს დაეკისრებათ სათანადო ტერიტორიის ფარგლებში საერთო მეთვალყურეობა გაუწიონ საგზაო საქმის მდგომარეობას, უშუალოდ განაგონ ადგილობრივი მნიშვნელობის გზები და საგზაო ნაგებობანი, განახორციელონ ამ გზებისა და ნაგებობის მშენებლობა, რემონტი და შენახვა და აგრეთვე თვალყური ადევნონ საერთო-საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების მდგომარეობას.

5. კერძოდ მე-4 მუხლში აღნიშნულ ორგანოებს დაეკისრებათ:

ა) განახორციელონ ყველა კანონი და აგრეთვე ყველა სავალდებულო დადგენილება, წესები და ინსტრუქციები საგზაო მეურნეობის შესახებ და კონტროლი გაუწიონ ამ კანონებისა, სავალდებულო დადგენილებებისა, წესებისა და ინსტრუქციების აღსრულებას;

ბ) შეიმუშაონ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების და საქალაქო საბჭოების სავალდებულო დადგენილებათა და განკარგულებათა პროექტები საგზაო მეურნეობის სფეროში; შეუთანხმონ ეს პროექტები სათანადო შემთხვევაში საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს;

გ) შეადგინონ ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის საპერსპექტივო და საწარმოო გეგმები და წარუდგინონ ეს გეგმები საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს და სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის ან საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმს კუთვნილებისამებრ;

დ) შეიმუშაონ და შეადგინონ ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის ხარჯთაღრიცხვები და პროექტები და წარუდგინონ ისინი, განსაკუთრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული წესების თანახმად, საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს დასამტკიცებლად;

ე) შეადგინონ ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სია;

ვ) შეადგინონ საგზაო რუკები;

ზ) შეჰკრიფონ მასალა გზების კლასიფიკაციისათვის და წარუდგინონ იგი საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს;

თ) იხმარონ სათანადო ღონისძიებანი მოსახლეობის თვითმოქმედების ორგანიზაციისა და ამ მოსახლეობის საგზაო მშენებლობაში შრომითი მონაწილეობის განხორციელებისათვის;

ი) ხელმძღვანელობა გაუწიონ სასოფლო საბჭოების საგზაო მშენებლობას;

კ) გასწიონ ტეხნიკური და საფინანსო ანგარიშგება საგზაო მეურნეობის სფეროში იმ ფორმებით და იმ წესით, რასაც განსაზღვრავს საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველო.

6. საგზაო მეურნეობის სარაიონო და საქალაქო ორგანოების შტატის განსაზღვრა და პირადი შედგენილობის დანიშვნა და დათხოვნა მოხდება სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების სათანადო ორგანოებისათვის დადგენილი საერთო წესების თანახმად.

გზის ინსპექტორები დანიშნულ უნდა იქნენ სათანადო ტეხნიკური განათლების მქონე პირთა რიცხვიდან.

7. ადგილობრივი საგზაო ორგანოების დაფინანსება მოხდება სსრ კავშირის, ა/კსფსრ-ის და საქართველოს სსრ-ის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესისამებრ.

8. საგზაო ორგანოებს აქვთ ბეჭედი საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ღერბის გამოსახულებით და თავიანთი სახელწოდების აღნიშვნით.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

247. დადგენილება ს. ა. ს.

„დამატებითი საცხოვრებელი ფართობის უფლების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

„საინჟენერო-სატეხნიკო დარგში მომუშავეთა ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 1-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 48 №-ი, მუხ. 322) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. „დამატებითი საცხოვრებელი ფართობის უფლების შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 14-ის დადგენილების 1-ლ მუხლს (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-3 №-ი, მუხ. 40) დაემატოს პუნქტი „პ“ შემდეგი შინაარსისა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

[1. დამატებითი საცხოვრებელი ფართობის უფლება აქვთ შემდეგ კატეგორიის მოქალაქეთ:...]

„პ) საინჟენერო-სატეხნიკო დარგში მომუშავეთ, რომელნიც გათვალისწინებულ არიან სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 1-ის დადგენილებით „საინჟენერო-სატეხნიკო დარგში მომუშავეთა ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 48 №-ი, მუხ. 322)“.

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული, 1930 წ. დეკემბრის 14-ის, დადგენილების მე-3 მუხლის შესავალი ნაწილი და იმავე მუხლის „ბ“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„3. 1-ლი მუხლის „ა“, „ბ“, „გ“, „თ„, „ი“, „კ“, „ლ“, „მ“ „ნ“, და „პ“ პუნქტებში აღნიშნული პირებისათვის დამატებითი საცხოვრებელი ფართობის უფლება დადგენილ იქნება სპეციალური მოწმობებით. ამ მოწმობებს მისცემს:...“

„ბ) სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მომუშავეებს (1-ლი მუხ. „ბ“ პუნ.), სამხედრო მსახურებს (1-ლი მუხ. „გ“ პუნ.) და საინჟენერო-სატეხნიკო დარგში მომუშავეებს (1-ლი მუხ. “პ“ პუნ.)—სამსახურის ადგილი სათანადო დაწესებულების, საწარმოს თუ ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით“.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **პ. ტყაბლაძე.**

1931 წ. ნოემბრის 4.
ტფილისი.

---

248. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამსახურისათვის ქალ. ახალციხეში გადაყვანილი სარაიონო დაწესებულებათა მომუშავეებისა და მუშათა და გლეხთა წითელი არმიის თავმდგომთა შედგენილობის საბინაო საჭიროებათა უზრუნველსაყოფი ღონისძიებების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საცხოვრებლად გამოსაყენებელი ფართობის ჩამოსართმევად იმ მიზნით, რომ ეს ფართობი მიეცეთ სარაიონო დაწესებულებათა მომუშავეებს და მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ჯარის ნაწილებისა და დაწესებულებების თავმდგომთა შედგენილობის პირებს, რომელნიც სამსახურისათვის ქალ. ახალციხეში არიან გადაყვანილი, ნება დაერთვას ახალციხის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს შეუფარდოს ქ. ახალციხეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. მაისის 6-ის დადგენილება „რაიონებში გადაყვანილი მომუშავეების საბინაო-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა უზრუნველყოფის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-9 №-ი, მუხ. 120), რისთვისაც უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივნისის 28-ის დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქცია აღნიშნული კანონის შეფარდების შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-14 №-ი, მუხ. 161).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ოქტომბრის 27.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ „კომუნისტის“ 252 №-ში 1931 წ. ნოემბრის 1.

სოციალურ-კულტურული წყობილება

249. დადგენილება ს. კ. ს.

კოჯრისა, კიკეთისა, წყნეთისა და მანგლისის კურორტების სამთო-სასანიტარო ზონის დაწესების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს შემდეგი სამთო-სასანიტარო დაცვის ზონა:

ა) კოჯრისა, კიკეთისა და წყნეთის კურორტების ჯგუფისათვის, საერთო სივრცით სქემატიური გეგმის კვალობაზე შვიდი ათასი ჰექტარი, შემდეგ საზღვრებში: ჩრდილოეთით—ვერის ხევი, აღმოსავლეთით—სოფ. ბაგების აღმოსავლეთით—მდებარე პირველი დიდი ღელე, შემდეგ სოფ. წყნეთისა და წავკისის აგარაკების საზღვარი (გენერალური გამიჯვნის გეგმის მიხედვით ლიტერები Ц-5 და Ц-1) და შემდეგ სოფ. ტაბახმელისა და კოჯრის აგარაკების სამიჯნო საზღვარი გუდელისის ღელემდე; სამხრეთით—გუდელისისა, ქოროღლისა და კარაპნელის ქედები და აქედან ენაგეთ-ელფის სატყეო აგარაკების საზღვარი; დასავლეთით—სოფ. პანტიანის აღმოსავლეთით მდებარე ღელე, რომელიც წინვენახსა (Ц-4) და ელფს (Е-1) საზღვრავს და შემდეგ კვესის ხევი ვერის ხევთან შეერთებამდე;

ბ) მანგლისის კურორტისათვის, საერთო სივრცით სქემატიური გეგმის კვალობაზე ხუთმეტი ათასი ჰექტარი, შემდეგ საზღვრებში: ჩრდილოეთით—ადმინისტრატიული საზღვარი აღბულაღ-მანგლისისა და წითელ-ქალაქის რაიონებს შორის დაწყებული კლდე-კარის მწვერვალიდან ქართლის მწვერვალამდე; აღმოსავლეთით—ქართლის მწვერვალიდან მოხისისა და ხოზეთის ქედებით მდინარე ალგეთამდე მიმავალი ხაზი, შემდეგ მდინარე ალგეთის გაყოლებით ჩიკნაურის-სერის ძირამდე და აქედან—ჩიკნაურის-სერის ტრიგონომეტრიულ წერტამდე; სამხრეთით—დაწყებული ჩიკნაურის-სერის ტრიგონომეტრიული წერტიდან ბედენის მთის ქედით ცხვრის გზის მიმართულებით ტყის მასივებისა და სათიბეების ბოლომდე; აქედან საზღვარი ჩრდილოეთისკენ მიდის ყვითელი მთის ტყეების საზღვრამდე, აქედან კი წყალთ გამყოფი ქედის გაყოლებით წალკის ზეგანამდე; დასავლეთით—წალკის ზეგანის სანაპიროები, რომლებიც გოხნარისა და უზუდეთის ტყეების ფერდობებს ეკვრიან, კლდე-კარამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. წინა მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნული ყველა სატყეო ფართობი ცნობილ იქნეს დაცვით ტყედ და გადაეცეს ტფილისის საქალაქო საბჭოს, რომელსაც მიენდოს, საქართველოს სსრ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან და საქართველოს სსრ-ის კურორტების მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებით, სატყეო მეურნეობის წარმოების გეგმის შედგენა.

საქ. სსრ ს. კ- ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **პ. ტყაბლაძე.**

1931 წ. ოქტომბრის 28.
ტფილისი.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

250. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების მე-10 მუხლის მე-16 პუნქტი (კან. კრ. 1928 წ. მე-16 №-ი, მუხ. 157) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

[10. სახელმწიფო სანოტარო კონტორის საგამგებლო საგანს შეადგენს:...]

„16) გარდაცვალებულის შემდეგ დარჩენილი ქონების დასაცავ ღონისძიებათა მიღება და მემკვიდრეობის უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემა“.

2. აღნიშნული დებულების მე-13 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„13. ხელშეკრულება არამუნიციპალიზებული შენობის გასხვისების და დაგირავების ან აღნაგობის უფლების დამყარებისა, გასხვისებისა და დაგირავების შესახებ დამოწმებულ უნდა იქნეს იმ ადგილის სანოტარო კონტორაში, სადაც შენობა ან სააღნაგოდ გაცემული მიწის ნაკვეთი მდებარეობს. შენობის ან აღნაგობის უფლების გადაგირავებისა და ამ გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის გადაცემის შესახები ჩანაწერი, აგრეთვე გირავნობის მოსპობის შესახები ჩანაწერი დამოწმებულ უნდა იქნეს იმავე სანოტარო კონტორაში, სადაც დამოწმებულია გირავნობის გარიგება. გარდაცვალებულის შემდეგ დარჩენილი ქონების დასაცავ ღონისძიებას მიიღებს და მემკვიდრეობის უფლების დამადასტურებელ მოწმობას გასცემს იმ ადგილის სანოტარო კონტორა, სადაც მემკვიდრეობა გაიხსნა. (სამოქ. სამ. კოდ. 430 მუხლის მე-2 შენიშვნა). ყველა სხვა სანოტარო მოქმედება შეიძლება შერულებულ იქნეს საქართველოს სსრ ფარგლებში არსებულ ყოველ სანოტარო კონტორაში, გარდა ისეთი შემთხვევისა, რაც კანონში ცალკეა აღნიშნული“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. აღნიშნული დებულების XXII თავის სათაური მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„თავი XXII. გარდაცვალებულის შემდეგ დარჩენილი ქონების დასაცავ ღონისძიებათა მიღება და მემკვიდრეობის დამადასტურებელი მოწმობის გაცემა“.

4. აღნიშნული დებულების XXII თავს დაემატოს 96¹ და 96² მუხლები შემდეგი შინაარსისა:

„96¹. იმ ადგილის სანოტარო ორგანო, სადაც მემკვიდრეობა გაიხსნება, მთავრობის დაწესებულებისა, საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და დაინტერესებული პირის შეტყობინებით, მიიღებს ღონისძიებას გარდაცვალებულის შემდეგ დარჩენილი ქონების დასაცავად საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 428 და 430 მუხლების თანახმად.

სანოტარო ორგანო დანიშნავს სამკვიდრო ქონების შემნახველს ან, უკეთუ გარდაცვალებულის შემდეგ დარჩენილი ქონება საჭიროებს გამგებლობას (საწარმო, შენობა და სხვა ამისთ.), პასუხისმგებელ მზრუნველს, იმ სახელმწიფო ორგანოს წარდგენით, რომელიც განაგებს სათანადო საწარმოს თუ ქონებას“.

96². უკეთუ საჭიროა, სანოტარო ორგანო მოახდენს განკარგულებას—გაიცეს გარდაცვალებულის შემდეგ დარჩენილი ქონებიდან თანხები შემდეგი ხარჯების დასაფარავად:

1) სამკვიდროს დამტოვებლის სამედიცინო დახმარებისა, ავადმყოფობის დროს მოვლისა და დამარხვისათვის;

2) სამკვიდროს დამტოვებლის რჩენაზე მყოფ პირთა შენახვისათვის;

3) იმ პრეტენზიების დაკმაყოფილებისათვის, რაც გამომდინარეობს შრომის შესახებ მომქმედი კანონმდებლობიდან და კოლექტიური ხელშეკრულებებიდან, აგრეთვე სოციალური დაზღვევის პრეტენზიებისა;

4) ქონების შენახვისათვის;

5) ქონების გამგებლობისათვის“.

5. აღნიშნული დებულების 97 მუხლი შენიშვნითურთ, 98 და 99 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„97. იმ ადგილის სანოტარო ორგანო, სადაც მემკვიდრეობა გაიხსნება, დაინტერესებულ პირთა თხოვნით გასცემს მოწმობას სამკვიდრო ქონების კანონით თუ ანდერძით სათანადო პირებზე გადასვლის ან ქონების ბეითალმნობის შესახებ. მოწმობაში ჩამოთვლილ უნდა იქნეს მემკვიდრენი და აღინიშნოს სამკვიდრო ქონების შედგენილობა, მისი შეფასება და გადახდევინებული სამკვიდრო გადასახადი.

შენიშვნა. იმ პირს, რომლის პრეტენზიაც სამკვიდრო ქონებაზე გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ მას გარდაცვალებული ინახავდა, მოწმობა სამკვიდრო ქონების მასზე გადასვლის შესახებ შეიძლება მიეცეს მხოლოდ მის შემდეგ, რაც სასამართლო, სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 257-261 მუხლების წესისამებრ, დაადასტურებს, რომ აღნიშნული პირი უსახსროა და შრომის უუნარო, და რომ იგი ფაქტიურად სავსებით გარდაცვალებულის ხარჯზე ცხოვრობდა არა ნაკლებ, ვიდრე ერთი წლის განმავლობაში ამ უკანასკნელის გარდაცვალებამდე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„98. მოწმობა კანონით მემკვიდრეობის უფლების შესახებ გაიცემა სამოქალაქო სამართლის კოდექსის 429 და 430 მუხლებში აღნიშნული ექვსი თვის ვადის გასვლის შემდეგ, ან ამ ვადის გასვლამდე, უკეთუ არსებობს ცნობები გარდაცვალებულის ყველა მემკვიდრის შესახებ.

მოწმობა ანდერძით მემკვიდრეობის უფლების შესახებ გაიცემა ექვსი თვის ვადის გასვლის დაუცდელად“.

„99. როგორც კანონით, ისე ანდერძით მემკვიდრეობის უფლების შესახები მოწმობა გაიცემა ხვედრი სამკვიდრო გადასახადის გასტუმრების შემდეგ ან იმის შემდეგ, რაც წარდგენილ იქნება საფინანსო ორგანოს მოწმობა გადასახადის გადახდის ვადის განაწილების შესახებ.

იმ მოწმობის ასლს, რაც გაცებულია მემკვიდრეობის უფლების შესახებ სამკვიდრო გადასახად-დასადებ სამკვიდროზე, და ქონების აღწერილობის ასლს, უკეთუ აღწერილობა შედგენილია ნასიკვდილარი ქონების დაცვის დროს, სანოტარო ორგანო გაუგზავნის ადგილობრივ საფინანსო განყოფილებას“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ოქტომბრის 27.

ტფილისი.

---

251. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 46 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ლიტერის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 46 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ლიტერა (კან. კრ. 1928 წ. მე-16 №-ი, მუხ. 157) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

[გადამხდევინებლის განცხადებით სანოტარო კონტორა გაუკეთებს აღსრულების წარწერას: 1. ფულის გადასახდევინებლად:...]

„ე) წყლისა, კანალიზაციისა, ელექტრონის ენერგიისა და ნაგვისაგან ეზოების გაწმენდის ვადაგადაცილებული სასყიდლის ანგარიშს“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ოქტომბრის 27.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 254 №-ში 1931 წ. ნოემბრის 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემანი

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული

1930 წ.	1931 წ.
ქართულ და რუსულ ენაზე	ქართულ და რუსულ ენაზე
ფასი 6 მან.	**ფასი 8 მან.**

ზოგი ნომერი მთლად გასაღდა

კოდექსები

სამთო კოდექსი. 1930 წ. ქართ. და რუს. ფ. 70 კ.

საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსი. 1930 წ. ქართ. და რუს. ფ. 50 კ.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი. 1931 წ. ქართ. რუს. ფ. 1 მან.

სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებათა კრებული. 1931 წ. ქართ. ფ. 50 კაპ. (გასაღდა).

საქართველოს სრულიადი ... ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავლიტი 2211. საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა ტირაჟი 1.100.